

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს ცალკეულ საკითხებს, რომლებიც საჭიროებს ცვლილებას როგორც სამართლებრივ-ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მიმართულებით. აღნიშნულ საკითხთა შორისაა შემდეგი:

– საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი „ვალდებულია დაიცვას და განამტკიცოს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი და თანასწორუფლებიანი შტოს – სასამართლო ხელისუფლების – ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.“¹ აღნიშნული ვალდებულება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ეკისრება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის დაზუსტება;

– ერთმანეთისგან განსხვავდება რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში კოლეგიებს შორის მოსამართლეთა სპეციალიზაციისა და სტრუქტურის მოდელი, კერძოდ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, ხოლო აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება არ არის შესაძლებელი სააპელაციო სასამართლოში. მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიზანშეწონილია ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება სააპელაციო

¹ იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

სასამართლოში თავად შეარჩიოს შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლე საქმეთა განხილვის მიზნით;

– მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია არსებობდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ორი თანამდებობა;

– სასამართლოს ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ აფასებდნენ ფარულად, ნაცვლად, საჯარო (ღია) ფორმისა, რაც გამორიცხავს უმაღლესი საბჭოს წევრებზე ყოველგვარ შესაძლო ზეგავლენას;

– სასამართლო სისტემის მიერ სწრაფი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა კონკურსის წესები ჩატარდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში და დაიხვეწოს კანდიდატის მიერ კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი;

– სასამართლოში საქმეთა არათანაბარი გადანაწილების პრევენციის, მოსამართლეთა სპეციალიზაციით საქმიანობის, შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრისა და მივლინების წესები მიზანშეწონილია მოაწესრიგოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში დასახული მიზნების მიღწევა, მისი არსიდან გამომდინარე, საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

შემოთავაზებული ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში დაიხვეწება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციები. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებული გამოწვევების უფრო ეფექტიანად დაძლევა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის დაცვა, ასევე - ეფექტიანობის (მათ შორის - ხალხის ნდობის

განმტკიცების თვალსაზრისით) უზრუნველყოფა არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებამოსილება. ამიტომ, ამ უფლებამოსილების უზენაესი სასამართლოს პლენუმისადმი მიკუთვნების შესახებ ნორმა (მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი) ამოღებულ უნდა იქნეს კანონიდან.

მოქმედი რედაქციით, მოსამართლეთა სპეციალიზაციისა და სასამართლოს სტრუქტურის მხრივ, დამკვიდრებულია შემდეგი მოდელი: რაიონული (საქალაქო) სასამართლოების დონეზე სპეციალიზებული კოლეგიების შექმნის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს²; ხოლო სააპელაციო სასამართლოების დონეზე სასამართლოს სტრუქტურას ამომწურავად განსაზღვრავს კანონი. მიზანშეწონილია, სააპელაციო სასამართლოების დონეზეც სასამართლოს სპეციალიზებული სტრუქტურის განსაზღვრის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც სასამართლოს ეფექტიანობაზე პასუხისმგებელ კონსტიტუციურ ორგანოს, რისთვისაც შესაბამისი ცვლილება შევა 23-ე მუხლის 2¹ პუნქტში.

რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების ფუნქციონირებისას, ხშირია შემთხვევა, როდესაც შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლე, სხვადასხვა ობიექტური გარემოებებიდან (დროებითი შრომისუუნარობა, შვებულება, მივლინება და ა.შ.) გამომდინარე, ვერ ახორციელებს მართლმსაჯულებას. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისათვის დამახასიათებელი საქმეთა სიმრავლის და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის პრობლემიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების მიზნის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია აღნიშნული მოსამართლე მაქსიმალურად ოპერატიულად და ეფექტიანად ჩანაცვლდეს, თუნდაც სხვა სპეციალიზაციის მოსამართლით. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეების ნაცვლად), რომლის ერთ-ერთი კონსტიტუციური ფუნქცია სწორედ სასამართლოს ეფექტიანობის უზრუნველყოფაა, უნდა მიენიჭოს დისკრეციული უფლებამოსილება - ელექტრონული პროგრამის

² იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გამოყენების გარეშეც შეარჩიოს შესაბამისი მოსამართლე, რომელსაც მისი სურვილის შემთხვევაში დაევალება სხვა სპეციალიზაციის საქმეთა განხილვაც, როგორც დროებითი ღონისძიება. ამიტომ, უნდა შეიცვალოს 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (სააპელაციო სასამართლოსთან მიმართებით) და 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ასევე - 32-ე მუხლის „დ¹“ ქვეპუნქტი (რაიონულ (საქალაქო) სასამართლოსთან მიმართებით).

მიზანშეწონილია, დიდი დატვირთვის მქონე სასამართლოებში, როგორებიცაა სააპელაციო სასამართლოები და ის რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, სადაც არანაკლებ 30 მოსამართლეა, სასამართლოს თავმჯდომარეს ჰყავდეს 2 მოადგილე, რომელთაგან ერთ-ერთი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლებელია დანიშნოს პირველ მოადგილედ. ამიტომ, შესაბამისი ცვლილებები (მათ შორის - სასამართლოს თავმჯდომარის/თავმჯდომარის პირველი მოადგილის არყოფნისას მათი უფლებამოსილების შემსრულებელი პირის განსაზღვრის სახით) უნდა შევიდეს 23-ე მუხლის მე-6-მე-9 პუნქტებში, 26-ე მუხლში (სააპელაციო სასამართლოსთან მიმართებით), 32¹ მუხლსა და 33-ე მუხლში (რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებთან მიმართებით), ასევე - 68-ე მუხლის მე-7 პუნქტში, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტში (საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლესთან, მათ შორის - სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეებთან მიმართებით, მათი თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტის განსაზღვრის სახით).

საერთო სასამართლოების სისტემის ფუნქციონირების პროცესში ინტეგრირებული ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამიდან, აგრეთვე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელთ არსებული სხვა საინფორმაციო წყაროებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია საბჭოს გააჩნია. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლო ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს მთელს სასამართლო სისტემასთან მიმართებით. ამიტომ, აქტუალური აღარ არის სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის სხვადასხვა განცხადებებისა თუ საჩივრების განზოგადების მასალების საბჭოსათვის წარდგენის ვალდებულების შენარჩუნება, რის გამოც კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (სააპელაციო სასამართლოების

თავმჯდომარეებთან მიმართებით) და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეებთან მიმართებით) ამოღებულ უნდა იქნეს კანონიდან.

მარტივდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი პროცედურა 34¹ მუხლის ცვლილებების მიხედვით, კერძოდ:

ა) პროცედურის დაწყების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას სავსებით უზრუნველყოფს შეტყობინების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსება და ინფორმაციის საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის მიწოდება;

ბ) კანდიდატთა შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე ყოველგვარი შესაძლო ზეგავლენის (როგორც გარე ძალებისაგან, ისე - შიდა კორპორაციული) მოხდენის პრევენციისათვის, კანდიდატთა შეფასებები, ასევე - მათთან დაკავშირებული კენჭისყრები უნდა შედგეს (ჩატარდეს) ფარულად, საბჭოს დახურულ სხდომებზე. შესაბამისად, შეფასებებისა და კენჭისყრების ფარულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია - შენარჩუნდეს ამ შეფასებათა და კენჭისყრებში მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებისა და მათი გამოქვეყნების, ასევე - შეფასებებში არსებული ხარვეზების შესავსებად ვადის დაწესების ვალდებულებები; ამასთან, ვინაიდან კენჭისყრა არის პროცედურის დამოუკიდებელი ეტაპი, ის არ უნდა იქცეს შეფასებით განპირობებულ ფორმალობად, რის გამოც უნდა უნდა დაიშვებოდეს პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის მიმართ კენჭისყრის ჩატარება. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის კონსტიტუციურობაზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და მისი არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ წარდგენილი სარჩელი არ დააკმაყოფილა;

გ) თუ საქართველოს პარლამენტი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატის არჩევის შესახებ, საბჭოს შეეძლება, ან ამგვარი წესით, ხელახლა წაურდგინოს პარლამენტს კანდიდატი, ან - შესარჩევი პროცედურა დაიწყოს თავიდან;

დ) დასაშვები იქნება მხოლოდ საბჭოს წარდგინების გასაჩივრება და აღარ მოხდება ე.წ. საბუთების გადარჩევისა და საჯარო მოსმენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების ცალ-ცალკე გასაჩივრება, რაც აფერხებდა ხოლმე პროცედურის მიმდინარეობას. წარდგინების კანონიერების განხილვის ფარგლებში, რა თქმა უნდა, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას შეეძლება - შეამოწმოს ზემოთ აღნიშნულ ეტაპებზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაც. ამასთან, თუ საკვალიფიკაციო პალატა დააკმაყოფილებს საჩივარს, თუმცა - საბჭო კვლავ იმავე კანდიდატის წარდგინების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება სხვა კანდიდატს შეეძლება მხოლოდ ერთჯერადად და არა დაუსრულებლად, რაც ლოგიკურია, რადგან საბჭო კოლექტიური კონსტიტუციური ორგანოა და მისი გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია არ შეიძლება მუდმივად იქნეს ექვევებუ დაყენებული;

ასევე მარტივდება და, შექმნილი ფაქტობრივ-სამართლებრივი ვითარებიდან გამომდინარე, იხვეწება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა კონკურსის წესები, ასევე - თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისა

სხვა სასამართლოში მივლინებული მოსამართლის დანამატის შესახებ კანონის დონეზე დაწესებული მინიმალური 10%-იანი ზღვარი უქმდება და დანამატის ოდენობის განსაზღვრა სრულად მიეკუთვნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეციას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოების ეფექტიანობის უზრუნველყოფ კონსტიტუციურ ორგანოს წარმოადგენს; ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ მის საქმიანობაში მაქსიმალურად ჩაერთოს სასამართლოების უშუალო მენეჯმენტის წარმომადგენელი პირები - სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეები, შესაბამისად, მიზანშეწონილია - საქართველოს საერთო სასამართლოების კონფერენციის მიერ საბჭოში არჩეულ 11 მოსამართლე წევრთა შორის სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარეთა ე.წ. კვოტა (არაუმეტეს 6 წევრი) გაიზარდოს 7-მდე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის ჩაბმის და შემდგომი მონაწილეობის უზრუნველყოფის ვალდებულება ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დაწესებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით; თუმცა, იმავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და, შესაბამისად, მითითებული ვალდებულებაც არ ეკისრება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; ამიტომ, საბჭოსათვის ამ ვალდებულების დაწესება ორგანული კანონით დაუსაბუთებელია, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ პირს შეუძლია დაუბრკოლებლად გაასაჩივროს საბჭოს მიერ მიღებული განკარგულება სასამართლოში, თუ მიიჩნევს, რომ განკარგულება უკანონოა და მას აყენებს პირდაპირ (უშუალო) ზიანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს 47-ე მუხლის 16² პუნქტი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი არის საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეული, სხვა დეპარტამენტების მსგავსად; თუმცა, არც ერთი სხვა დეპარტამენტის არსებობა არ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე. არ არსებობს არავითარი რაციონალური არგუმენტი ამგვარი დიფერენციაციის გასამართლებლად. შესაბამისად, მიზანშეწონილია - საბჭოს აპარატის სტრუქტურის განსაზღვრა ასევე სრულად მიეკუთვნოს საბჭოს კომპეტენციას, რის გამოც 56¹ მუხლი ამოღებულ უნდა იქნეს კანონიდან და შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს მენეჯმენტის დეპარტამენტის რეორგანიზაციისათვის, რაც აისახება კანონის გარდამავალ დებულებებში.

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა კონფერენციის მიერ, ადმინისტრაციული კომიტეტის უკვე არჩეულ წევრთაგან; ამდენად, კომიტეტის თავმჯდომარის ასარჩევად ხშირად აუცილებელი ხდება რამდენიმე ასეული მოსამართლის მონაწილეობით ფარული კენჭისყრის 2-ჯერ ჩატარება. მიზანშეწონილია - კომიტეტის თავმჯდომარე აირჩიონ თავად კომიტეტის წევრებმა,

მისივე უფლებამოსილების ვადით; ამიტომ, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს 64-ე მუხლის მე-3 პუნქტში.

მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი განთავსდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. მოსამართლეთა კონფერენცია მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოა, რომელიც წყვეტს სასამართლო სისტემის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს; საქართველოს უზენაესი სასამართლო კი მხოლოდ მართლმსაჯულების უმაღლესი ინსტანციის (საკასაციო) სასამართლოა და იგი არ ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთელი სასამართლო სისტემის მიმართ. ამდენად, უფრო ლოგიკური იქნება, თუ მოსამართლეთა კონფერენციის დღის წესრიგი განთავსდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, რადგან სწორედ საბჭო არის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლად და ეფექტიანად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი კონსტიტუციური ორგანო. ამიტომ, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს 66-ე მუხლის მე-3 პუნქტში.

მიზანშეწონილია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების წესი განსაზღვროს თავად დამოუკიდებელმა საბჭომ (ხაზგასასმელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატების განსაზღვრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს იმავე საბჭოს). ამასთან, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება, რომ დამოუკიდებელი საბჭოს არამოსამართლე წევრის შრომის ანაზღაურება უნდა გაუტოლდეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს წევრი იმავდროულად არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც (ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა შრომის ანაზღაურება დამოუკიდებელ საბჭოში იქნება იდენტური). ამიტომ, შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს 66³ მუხლის მე-8 პუნქტში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. რაც შეეხება კანონპროექტის იმ ნაწილს, რომელიც გულისმობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შესახებ ნორმების ორგანული კანონიდან ამოღებას, რის საფუძველზეც მოხდება აღნიშნული დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ამოქმედდება 2025 წლის 31 დეკემბრიდან.

ამასთანავე, კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი და საბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი კანონპროექტების მიზნებიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფას. აუცილებელი ხარჯების დაფინანსება მოხდება საერთო სასამართლოებისათვისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გამოყოფილი ასიგნებებით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად, სასამართლო სისტემაში შეიქმნება დამატებითი ხელმძღვანელი თანამდებობები. კერძოდ, დაემატება სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოზიცია, რომლისთვისაც განისაზღვრება შესაბამისი თანამდებობრივი სარგო. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მიენიჭება უფლებამოსილება

დაამტკიცოს დანამატი როგორც საბჭოს წევრ მოსამართლეს, ასევე იმ არამოსამართლე წევრს, რომელიც ერთდროულად არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ამასთან, დამოუკიდებელი საბჭოს სხვა არამოსამართლე წევრები თავიანთი მოვალეობების შესრულებისთვის მიიღებენ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა გათანაბრდება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოსთან.

აღნიშნული ცვლილებები უშუალო გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ახალი თანამდებობებისა და დანამატების დაწესების შედეგად გაიზრდება იმ პირების შრომითი შემოსავალი, რომლებიც დაკავებული იქნებიან კანონპროექტით განსაზღვრულ პოზიციებზე. შესაბამისად, მათი მიერ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ოდენობაც გაიზრდება, რაც სახელმწიფოსთვის დამატებითი შემოსავლების მობილიზებას უზრუნველყოფს.

ასევე, კანონპროექტით გაუქმდება მენეჯმენტის დეპარტამენტი და შეიქმნება სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას. მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლებს სურვილის შემთხვევაში შეეძლებათ დაინიშნონ ახალ სტრუქტურულ ერთეულში.

აღნიშნულ ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ვერ გადაინიშნება ახალ სტრუქტურულ ერთეულში, შემცირდება მათი მიერ თანამდებობრივი სარგოდან გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის მოცულობა, რაც შესაბამისი ოდენობით შეამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად დაემატება სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა, რომელსაც განესაზღვრება ახალი თანამდებობრივი სარგო. აღნიშნულს გავლენა ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. შესაბამისი ხარჯები დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ შეიძლება დაუწესოს დანამატი დამოუკიდებელი საბჭოს წევრ მოსამართლეს და ასევე, არამოსამართლე წევრს, რომელიც არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც. ასევე,

დამოუკიდებელი საბჭოს სხვა არამოსამართლე წევრებს თავისი მოვალეობის შესრულებისთვის მოვალეობის შესრულებისათვის ეძლევათ ანაზღაურება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა მოახდინოს გავლენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გაზრდის მიმართულებით.

ასევე, კანონპროექტით გაუქმდება მენეჯმენტის დეპარტამენტი და შეიქმნება სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სასამართლოებში მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლებს, სურვილის შემთხვევაში, ექნებათ შესაძლებლობა დაინიშნონ ახალ სტრუქტურულ ერთეულში, ხოლო მობილობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მათ მიეცემათ კომპენსაცია სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

აღნიშნულ ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელთა ნაწილი უარს განაცხადებს ახალ სტრუქტურულ ერთეულში გადასვლაზე, ბიუჯეტში დაზოგილი იქნება თანხები, ვინაიდან მათ აღარ მიეცემათ ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტით შემოდის ახალი თანამდებობა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავჯდომარის პირველი მოადგილის სახით, რომელსაც ექნება განსხვავებული თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე დგინდება დამოუკიდებელი საბჭოს წევრებისათვის ფინანსური დანამატის განსხვავებული წესი. შესაბამისად კანონპროექტი გავლენას მოახდენს აღნიშნულ პირებზე.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები აგრეთვე პირდაპირ ვრცელდება მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლებზე, რომელთა ადმინისტრაციული ერთეული სრულად უქმდება და მის ნაცვლად იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეული საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები პირველ რიგში მათზე მოახდენს ფინანსურ გავლენას. თანამშრომლებს მიენიჭებათ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში გაგრძელონ საქმიანობა ახალ სტრუქტურულ ერთეულში. იმ პირების შემთხვევაში, რომლებიც გადანიშნაზე უარს განაცხადებენ, შეწყდება მათთვის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს გაცემის საფუძველი, ხოლო თუ მოხილვის განხორციელება ვერ მოხდება, სახელმწიფო მათ მიმართ გაატარებს ფინანსური კომპენსაციის გაცემის ვალდებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონპროექტის განხორციელებას ექნება გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზეც. თუ მენეჯმენტის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ვერ გადაინიშნება ახალ სტრუქტურულ ერთეულში მათ აღარ ექნებათ ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე შესაძლებელია მათი ნაწილის მიმართ საჭირო გახდეს კომპენსაციის გადახდა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.